

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საია ეხმარება რადიკალური და
პრორუსული ჯგუფის მხრიდან მუქარისა
და ძალადობის ბოლოდროინდელ
შემთხვევებს**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს რეგიონებში „ალტ-ინფოს“ მიერ დაფუძნებული პოლიტიკური პარტიის - [D\[REDACTED\]](#) მოძრაობის [\[REDACTED\]](#) ოფისების გახსნის მიმართ ადგილობრივების პროტესტს მოძრაობის წარმომადგენლების მხრიდან ძალადობრივი და მექარის შემცველი განცხადებები, ასევე არაერთი დაპირისპირება მოჰყვა.

საგულისხმოა, რომ მათი წევრების მხრიდან არაერთხელ გაკეთდა ოკუპანტი ქვეყნის მიმართ დადებითი განწყობის გამომვლენი განცხადებები. აგრეთვე, ამ ძალადობრივი, პრორუსული ჯგუფის მიერ 5-6 ივლისს ჩადენილი მასშტაბური ძალადობა მიმართული იყო ქვეყანაში დესტაბილიზაციის გამონწვევის, საქართველოს მიერ არჩეული დემოკრატიული და ევრო-ატლანტიკური კურსის საზიანოდ. უკრაინაში რუსეთის სამხედრო აგრესიის შემდეგ კი საზოგადოებაში კიდევ უფრო იმატა [D\[REDACTED\]](#) მოძრაობის [\[REDACTED\]](#) მიმართ ლეგიტიმურმა პროტესტმა.

2022 წლის 3 მარტს მესტიაში, [D\[REDACTED\]](#) მოძრაობის [\[REDACTED\]](#) ოფისთან, ადგილობრივ ახალგაზრდებსა და რადიკალური ჯგუფის წევრებს შორის დაპირისპირება მოხდა.[\[1\]](#) გავრცელებული ინფორმაციით, შემთხვევის ადგილზე იმყოფებდნენ მესტიის პოლიციის წარმომადგენლებიც, რომლებიც ადგილობრივების თქმით, ჩხუბის განეიტრალებას ცდილობდნენ, თუმცა იქვე არავინ დაუკავებიათ.[\[2\]](#) მოგვიანებით, [D\[REDACTED\]](#) [\[REDACTED\]](#) ლიდერები მესტიაში მომხდარზე უფრო აგრესიული ანგარიშსწორებით დაემუქრნენ სხვა რეგიონებში პარტიის საქმიანობით უკმაყოფილო ადამიანებს, რომლებიც მათი ოფისების დახურვას ითხოვდნენ.[\[3\]](#)

14 მარტს, მარნეულში, „კონსერვატიული მოძრაობის“ [\[REDACTED\]](#) ოფისის გახსნის მიმართ სამირა ბაირამოვას არაძალადობრივ პროტესტს, ოფისის ფასადზე უკრაინისა და ევროკავშირის დროშების დახატვას, რადიკალური ჯგუფის მხრიდან სოციალურ ქსელში მექარის შემცველი გზავნილები მოჰყვა.[\[4\]](#) მართალია, ამ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით (მექარა) დაიწყო,[\[5\]](#) თუმცა პასუხისმგებელი პირების გამოვლენა ამ დრომდე არ მომხდარა. ამასთან, ვინაიდან მექარის საფრთხე ჯერ კიდევ სრულყოფილად არ აღკვეთილა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ პროკურატურაში განცხადება შეიტანა და სამირა ბაირამოვას დაბარალეებულად ცნობა, ასევე დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება მოითხოვა.[\[6\]](#)

[D\[REDACTED\]](#) მოძრაობის [\[REDACTED\]](#) წევრის მხრიდან მექარის შემცველი განცხადებები ასევე გავრცელდა მას შემდეგ, რაც ოზურგეთში პარტიის ოფისის გახსნის წინააღმდეგ აქცია დაიგეგმა.[\[7\]](#) დაპირისპირება მოხდა ქობულეთშიც, როდესაც პარტიის ოფისთან აქციის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



მონაწილეებს თავს დაესხნენ.[8] დაუზუსტებელი ინფორმაციით, პოლიციამ 10-მდე პირი დააკავა, მათ შორის არიან აქციის მონაწილეები და „ალტ-ინფოს“ წევრები.[9]

რადიკალური ჯგუფები ძალადობრივ დამოკიდებულებას იჩენენ არამხოლოდ აქციების მონაწილეების და პროტესტის გამომხატველების, არამედ მედიის წარმომადგენლების მიმართაც. ალტ-ინფოს მხარდამჭერები აგრესიული განცხადებებითა და ჟურნალისტთან სატელეფონო ზარებით გამოეხმაურნენ საინფორმაციო სააგენტო speqtri.ge-ის მიერ გურჯაანში [ქვემოქვემოცემული](#) მოძრაობის [ქვემოქვემოცემული](#) ოფისის გახსნის, ასევე ამ პარტიის საქმიანობის უფლების შეჩერების მოთხოვნით პეტიციის შექმნის თაობაზე ინფორმაციის გავრცელებას.

[10] ზუგდიდში [ქვემოქვემოცემული](#) პარტიის [ქვემოქვემოცემული](#) მოძრაობის [ქვემოქვემოცემული](#) ოფისთან თავს დაესხნენ ტელეკომპანია [ქვემოქვემოცემული](#) არხის [ქვემოქვემოცემული](#) კორესპონდენტს და ოპერატორს, რაზეც სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა გამოძიება ჟურნალისტურ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის ფაქტზე დაიწყო.[11]

ხაზგასასმელია, რომ ამ ჯგუფის მიერ 5-6 ივლისს განხორციელებული მასშტაბური ძალადობის საქმეებზე მხოლოდ პირთა მცირე ნაწილის პასუხისმგებლობაა გამოკვეთილი და ამგვარი ქმედებისაკენ საჯაროდ მონოდების თაობაზე საჯარო წყაროებში არსებული არაერთი მტკიცებულების მიუხედავად,[12] დღემდე არ წარდგენია ბრალი ძალადობის არცერთ ორგანიზატორს. სამართალდამცავი უწყებების მხრიდან ამგვარი დამოკიდებულება ამცირებს გამოძიების მიმართ ნდობას და ახალისებს რადიკალური ჯგუფების ქმედებებს. ამაზე მიუთითებს ბოლოდროინდელი ძალადობრივი შემთხვევებისა და მუქარის შემცველი გზავნილების სიმრავლაც.

შესაბამისად, მოვუწოდებთ საგამოძიებო ორგანოებს:

- დროული და ეფექტიანი რეაგირება მოახდინონ აგრესიული ჯგუფის მხრიდან მუქარისა და ძალადობის შემთხვევებზე;
- სათანადო ზომები გაატარონ მუქარისა და ძალადობის აღრესატი პირების უსაფრთხოების დასაცავად;
- გააკეთონ მკაფიო განცხადება, რომ ძალადობრივი ჯგუფების ქმედებები არ დარჩება დაუსჯელი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



[1] **ქობულეთში** მესტიაში **ქობულეთის** მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის - ნაცემია 10-მდე ადამიანი, მთის ამბები **ქობულეთის ამბების ვებგვერდი**, 03.03.2022 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3KWZ3n4>, განახლებულია: 23.03.2022.

[2] იქვე.

[3] **ქობულეთი** მწარედ მოხვდათ ცხვირ-პირში, უფრო აგრესიულები ვიქნებით **ქობულეთი** ინფო **ქობულეთის ვებგვერდი**, 16.03.2022 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36ejN6r>, განახლებულია: 23.03.2022.

[4] კონსერვატიული მოძრაობის წევრების მიმართვა, Facebook ვებგვერდი, 16.03.2022 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3qt8BhE>, განახლებულია: 23.03.2022.

[5] **ქობულეთი** ბაირამოვას მიმართ მუქარა დროულად უნდა აღიკვეთოს **ქობულეთი-ს ვებგვერდი**, 17.03.2022 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3L5ovXp>, განახლებულია: 23.03.2022.

[6] **ქობულეთი** თავმჯდომარემ მარნეულის რაიონულ პროკურატურაში განცხადება შეიტანა და სამოქალაქო აქტივისტის, სამირა ბაირამოვას მიმართ მუქარის ფაქტზე მისი დაზარალებულად ცნობა მოითხოვა **ქობულეთის ვებგვერდი**, 21.03.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/36pewgS>, განახლებულია: 23.03.2022.

[7] **საქართველოს** A პარტიის წარმომადგენლის წინააღმდეგ ობერგეტში პროკურატურას მიმართეს **ქობულეთის ვებგვერდი**, 18.03.2022, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JxkevE>, განახლებულია: 23.03.2022.

[8] TV Pirveli - ტელეკომპანია პირველი [Facebook-გვერდი], 22.03.2022, **ქობულეთი** საწინააღმდეგო მშვიდობიან აქციას პრორუსული დაჯგუფების წევრები თავს დაესხნენ **ქობულეთი** ხელმისაწვდომია: <https://www.facebook.com/watch/?v=451276266752410>, განახლებულია: 23.03.2022.

[9] ქობულეთში **ქობულეთი** ოფისთან აქციის მონაწილეებს სცემეს **ქობულეთი** არიან დამავებულებიც, ბათუმელების ვებგვერდი, 22.03.2022 ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3JNXub3> განახლებულია: 23.03.2022.

[10] **ქობულეთი** სააგენტო speqtri.ge-ს განცხადება ალტ-ინფოს მუქარის შესახებ **ქობულეთი** საინფორმაციო სააგენტო **ქობულეთი** ვებგვერდი 17.03.2023, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3tw7oYF>

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



, განახლებულია: 23.03.2022.

[11] კოალიცია მედიის ადვოკატირებისთვის [Facebook-გვერდი], 18.03.2022, [\[REDACTED\]](#)
ადვოკატირებისთვის A [\[REDACTED\]](#) არხის A გადამღებ ჯგუფზე თავდასხმის ფაქტს ეხმიანება,
ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3iwi6bH>, განახლებულია: 23.03.2022.

[12] დეტალურად იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, [A \[REDACTED\]](#) ივლისი
მოვლენების ქრონოლოგია და სამართლებრივი შეფასება [\[REDACTED\]](#) 2021, ხელმისაწვდომია:
<https://bit.ly/3NaY4BF>, განახლებულია: 23.03.2022.